პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 მაისი შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი ● № 103 (14099)

ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ყველა კუთხეში დიდი სიხარულითა და ზეიმით აღინიშნა პირველი მაისის დღესასწაული.

საბჭოთა ადამიანებმა ცხადყვეს მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო თავიანთი მონოლითური შეკავშირება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება.



მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია 1968 წლის 1 მაისს. („პრავდა").

მზე ამოაბრწყინეს საპირველმაისო დროშებმა

ჰარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ორმოცდაათი წლის წინათ საბჭოთა პირველი მაისის მზე პირველად ამოვიდა მოსკოვის თავზე. იგი ამოაბრწყინეს დროშებმა, რომლებიც პირველად თავისუფლად აფრიალა რუსეთმა მთელი პლანეტის პროლეტართა სასიხარულოდ. „პირველად ისტორიაში, — წერდა „პრავდა" 1918 წლის 1 მაისს, — რუსეთის პროლეტარიატი პირველ მაისს ზეიმობს არა როგორც ჩაგრული, არამედ როგორც გამარჯვებული კლასი... იგი, ტიტანურ რევოლუციურ ბრძოლაში გამარჯვებული კლასი, დგას ბორკილებასსნილი, თავისი ცხოვრების, თავისი მომავლის, თავისი ბედნიერების თავისუფალი მშენებელი!".

...მაცხოვრის კოშკის საათს შეუდარა დრო და დათვალიერებისათვის ემზადება დღევანდელი პირველი მაისი, და რაც უნდა ჩვეული იყოს წითლად მორთული წითელი მოედანი, საპარადოდ გამზადებული ჯარები, სავსე ტრიბუნები და მუსიკის მხიარული ჰანგები, ყოველთვის ახლებურად აღვიქვამთ ყოველივე ამას. და მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის ფასადზე დღეს თითქოს უფრო საზეიმოდ მოჩანს. პირველი მაისის დღესასწაული ეზმიანება მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის დაბადების 150 წლისთავს. შორს ალარ არის მეორე თარიღიც, რომელიც შთაგვგონებს სულ ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის, — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

წითელი მოედნის ტრიბუნებზე არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. აქ არიან ყველა კონტინენტიდან ჩამოსული სტუმრები, უცხოელი დიპლომატები.

მაცხოვრის კოშკზე საათის ისარი ათს უახლოვდება. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. კელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, პ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.

10 საათზე კრემლის მაცხოვრის კოშკის ჭიშკრიდან ლია მანქანით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, რომელიც პარადს იღებს. მას უპატაკებს პარადის სარდალი — მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ე. თ. ივანოვსკი. მარშალმა ჩამოუარა ჯარებს, მიულოცა მეომრებს პირველი მაისის დღესასწაული.

მინისტრი ავიდა მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე და წარმოთქვა სიტყვა.

საბჭოთა ქვეყანა, თქვა მან, წლევანდელ პირველ მაისს აღნიშნავს ახალი დიდი საქმეებით კომუნიზმის გზაზე. საბჭოთა ადამიანები მტკიცედ ახორციელებენ კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, აღსავსენი არიან შემოქმედებითი გეგმებითა და ენერგიით, რათა უფრო მდიდარი და მძლავრი გახადონ თავიანთი სამშობლო.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი მოწმობენ სოციალიზმის პოზიციათა შემდგომ განმტკიცებას, ახალი საზოგადოებრივი წყობილების უდაო უპირატესობებს.

საერთაშორისო იმპერიალიზმი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ცდილობს ყოველი საშუალებით შეაფერხოს სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების განუხრელი ზრდა და სულ უფრო აშკარად ადგება აგრესიისა და სამხედრო ავანტიურების გზას, აძლიერებს იდეოლოგიურ დივერსიებს სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, უხეშად ერევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, აშწავებს საერთაშორისო დაძაბულობას, ქმნის ახალი მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხეს.

საბჭოთა ხალხი, თქვა შემდეგ მინისტრმა, გადაჭრით მოითხოვს ამერიკელ იმპერიალისტთა გაძევებას ვიეტნამიდან, მხარს უჭერს გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის, და არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას თავიანთი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სოციალური პროგრესისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ რა მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ზრუნავენ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ იღვწიან თავიანთი ერთიანობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების განმტკიცების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა კვლავ დაადასტურა, რომ ჩვენი პარტია მზად არის ყოველი ღონე იხმაროს სოციალისტური თანამეგობრობის, მხოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი შეკავშირებისათვის.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა ჩვენი სამშობლოს ახალ სახელოვან გამარჯვებათა საწინდარია.

საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების სადარაჯოზე, თქვა დასასრულ თავდაცვის მინისტრმა, ფხიზლად დგანან ჩვენი შეიარაღებული ძალები, ისინი ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ხალხს, კომუნისტურ საქმეს.

მოედანზე ქუხს „ვაშა!", ორკესტრი ახრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. ქუხს საარტილერიო სალუტი.

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. და აი ისმის ბრძანება: — საზეიმო მარშით, იარ!

ტრიბუნების წინ მოდიან ახალგაზრდა ოფიცრები — უმაღლეს სამხედრო სასწავლებლთა მსმენელები. ერთმანეთს მოჰყვებიან აკადემიებისა და სასწავლებლების ბატალიონები.

ტრიბუნებზე გამოცოცხლებულა — გამოჩნდა საზღვაო ქვეითი ჯარი. მეზღვაურები შეცვლიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი მოტომსროლელი დივიზიის კოლონამ, მას მოჰყვებიან სუვოროველები და ნახიმოველები.

დამთავრდა პარადის პირველი ნაწილი. სადაც არის დაიწყება საბრძოლო ტექნიკის ჩვენება... მოდიან ტანკის მ. ი. კალინინის სახელობის მოტომსროლელი გვარდიული დივიზიის საბრძოლო მანქანები. ტანკელებს მსუბუქი ღია მანქანებით მოჰყვებიან ავიამედესანტეები, მათი კოლონის ბოლოს მოდიან დიდი საცეცხლე ძალის მქონე თვითმავალი დანადგარები. ამ დანადგარების ტრანსპორტირება შეიძლება ჰაერით, მათ შეუძლიათ წარმატებით იბრძოლონ მოწინააღმდეგის ჯავშნიანი ობიექტების წინააღმდეგ.

თუ სამაერო-სადესანტო ნაწილები ჩვენი სახმელეთო ჯარების საბრძოლო მოქმედებას ანიჭებენ მანევრირების უაღრესად დიდ უნარსა და აქტიურ ხასიათს, ტანკები კვლავაც სახმელეთო ჯარების მთავარი დამრტყმელი ძალაა. თანამედროვე ტანკები სხვა მანქანებზე უკეთ არიან დაცული ჩვეულებრივი საცეცხლე საშუალებებისა და ატომური იარაღის მოქმედებისაგან. მათ კი შეიჩერებს ვერც ქვიშა, ვერც ჭაობი, მათ შეუძლიათ გადასცურონ მდინარე თუ ტბა, წყალქვეშ ფსკერზე გაიარონ. სწორედ ასეთი ტექნიკა „ხრუნა პარადზე კატედროვკის ლენინის ორდენოსანმა წითელდროშოვანმა გვარდიულმა სატანკო დივიზიამ.

...მოდიან შორმსროლელი ქვემეხები, უფრო დიდი კალიბრისა და სიმძლავრის ქვემეხები, მრისხანე რეაქტიული დანადგარები. ჩვენი არტილერია, რომელმაც გამოიყენა ომისშემდგომ წლების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, საბრძოლო მოქმედების მძლავრი საშუალებაა. არტილერისტთა ცეცხლს ვერ გაუძლებს მოწინააღმდეგის ვერც ერთი თავდაცვითი ნაგებობა. რეაქტიული დანადგარების საცეცხლე ძალა კი ბევრად აღემატება სახელგანთქმულ „კატიუშებს".

წითელ მოედანზე შემოდიან რაკეტები.

თავიანთ საბრძოლო ტექნიკას პირველნი უჩვენებენ საჰაერო თავდაცვის ქვეგანაყოფები. მოცურავენ ურაკეტებზე გადებული ვერცხლისფერი სიგარები. საჰაერო თავდაცვის ჯარების პირადი შემადგენლობის ცხოვრების კანონია მუდამ მზად იყონ საბრძოლო მოქმედებისათვის.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები. მათ ცვლიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის बალისტიკური რაკეტები. ჩვენს მეზღვაურებს შეუძლიათ წყალქვეშა ატომური რაკეტამზიდიდან მიაყენონ გამანადგურებელი დარტყმა მოწინააღმდეგის ობიექტებს, რომელიც სტარტის ადგილიდან ათასობით კილომეტრზე მდებარეობენ.

სამხედრო პარადის დასასრულს წითელ მოედანზე გამოდის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მრისხანე ტექნიკა — საბჭოთა შეიარაღებული ძალების სიამაყე. ეს ტექნიკა ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების საფუძველი, აგრესორის შეკავების მთავარი საშუალებაა.

სარაკეტო ჯარების მარშს იწყებენ საშუალო სიშორის რაკეტები, რომლებიც მოაქვთ თვითმავალ გასაშვებ დანადგარებს. ასეთ მაღალმანევრიან თვითმავალ გასაშვებ დანადგარებს ვხედავთ საკონტინენტთაშორისო რაკეტების მწყობრშიც. მათ ახასიათებს მანევრირების დიდი უნარი, შეუძლიათ სწრაფად შეიცვალონ სასტარტო პოზიცია და ყოველთვის მზად არიან დაუყოვნებლივ დაიწყონ მოქმედება.

მოედანზე შემოდიან მძლავრი ბალისტიკური რაკეტები. მათ შორის სამსაფეხურიანი საკონტინენტთაშორისო რაკეტები, რომლებიც ახალი ხათბობით მუშაობენ. ისინი საექსპლოატაციოდ მარტივია, ახასიათებთ უდიდესი მზადყოფნა და მათი გაშვება, როგორც შახტის, ისე სხვა სტარტებიდან, რამდენიმე წამში შეიძლება.

ბოლოს მოედანზე გამოდიან ყველაზე მძლავრი სტრატეგიული რაკეტები. მათთვის არ არსებობს ფრენის სიშორის საზღვარი. მათ შეუძლიათ ყოველი მიმართულებით მიაყენონ დარტყმა მოწინააღმდეგის ობიექტებს. მათი ატომური მუხტების შესაძლო ძალა ფანტასტიკურია.

დღევანდელი პარადი ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა რაკეტმშენებლობის მაღალ დონეს. ჩვენ გვაქვს სულ სხვადასხვა დიდი სიმძლავრის ატომურმუხტიანი რაკეტები. ეს უზრუნველყოფს ყოველი აგრესორის განადგურების საბრძოლო ამოცანათა შესრულების სიმედოვნეს, თუ იგი გაბედავს ომის დაწყებას.

მერაკეტე მეომრები, ისევე როგორც საბჭოთა არმიის ყველა მეომარი, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისს შეხვდნენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა, კლასის სპეციალისტთა, წარჩინებული ნაწილებისა და ქვეგანაყოფების რიცხვის ზრდით. დღითიდღე იზრდება სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების საბრძოლო მზადყოფნა და ძლიერება. პირადი შემადგენლობა ფხიზლად დგას ვახტზე თავის მრისხანე იარაღთან.

მეორე საინჟინრო აკადემიისა და ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელებისათვის;

დიდებას ობელისკები იქ, სადაც 1961 წლის 12 აპრილს დაეშვა კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი", ჯარის ნაწილში და ი. ა. გაგარინისა და ვ. ს. სერიოგინის ტრაგიკული დაღუპვის ადგილას;

მიენიჭოს ვ. ს. სერიოგინის სახელი ჯარის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილს.

მოწონებულია მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წინადადება, რომ ქალაქ მოსკოვში ი. ა. გაგარინის სახელობის მოედანზე დაიდგას ი. ა. გაგარინის ძეგლი, აგრეთვე ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩის მიენიჭოს ვ. ს. სერიოგინის სახელი.

(დასასრული მე-2 გვ.)

დღესასწაულის მონაწილეთა პატივსაცემად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში სადილი გამართეს საპირველმაისო პარადის მონაწილეებისა და იმ საზღვარგარეთელი სტუმრების პატივსაცემად, რომლებიც დაესწრნენ საპირველმაისო დღესასწაულს მოსკოვში. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, განიხილეს რა წინადადებანი სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ი. ა. გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის ინჟინერ-პოლკოვნიკ ვ. ს. სერიოგინის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ:

მიენიჭოს ი. ა. გაგარინის სახელი სამხედრო-საჰაერო აკადემიას და ჯარის იმ ნაწილს, სადაც უკანასკნელ წლებში მსახურობდა კოსმონავტი მფრინავი;

დაიდგას ი. ა. გაგარინის ბიუსტი სმოლენსკის ოლქის ქალაქ გაგარინში;

დაწესდეს ი. ა. გაგარინის სახელობის სტიპენდიები ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის და ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელებისათვის;

დაიდგას ობელისკები იქ, სადაც 1961 წლის 12 აპრილს დაეშვა კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი", ჯარის ნაწილში და ი. ა. გაგარინისა და ვ. ს. სერიოგინის ტრაგიკული დაღუპვის ადგილას;

მიენიჭოს ვ. ს. სერიოგინის სახელი ჯარის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილს.

მოწონებულია მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წინადადება, რომ ქალაქ მოსკოვში ი. ა. გაგარინის სახელობის მოედანზე დაიდგას ი. ა. გაგარინის ძეგლი, აგრეთვე ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩის მიენიჭოს ვ. ს. სერიოგინის სახელი.

სამეცნიერო სესია

1968 წლის 5 მაისს დღის 2 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწყობენ სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს

კარლ მარქსის

დაბადების 150 წლისთავისადმი

დღის წესრიგი:

1. კ. მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. მერკვილაძე). 2. კ. მარქსის „კაპიტალის" ისტორიული მნიშვნელობა (პროფესორი ა. ფანცხავა). 3. კ. მარქსის ფილოსოფია და თანამედროვეობა (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ო. ბაკურაძე). 4. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მახარაძე).

სესია გაიმართება პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრსპ. 29).

ᲛᲖᲔ ᲐᲛᲝᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲓᲠᲝᲨᲕᲒᲛᲐ



1968 ᲬᲚᲘᲡ 1 მაისის დღესასწაული მოსკოვში. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ფიზკულტურელები წითელ მოედანზე. ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

„ვინც არ შრომობს, ის არ ჭამს!“... ახალი ცხოვრების პირველმშენებლები ისტორიაში შევიდნენ წითელი მოედნიდან.. მათს ნაკვალევს მიჰყვებიან დღევანდელი მშრომელი მოსკოვის კოლონები — მუშები და ინჟინრები, მხატვრები და მეცნიერები, მასწავლებლები და მშენებლები. მათი ოსტატობა და შთაგონება ჩაქსოვილია ათასობით ჩარხსა და მილიონობით მეტრ ქსოვილებში, ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალ ნაწარმოებებში, უზარმაზარ მშენებლობებში. ისინი მოდიან მოედანზე, როგორც თავიანთი თვალუწვდენი სამშობლოს ნამდვილი ბატონ-პატრონები.

შრომის დამკვრელებს — განსაკუთრებული პატივი. ისინი მოდიან კოლონების პირველ რიგებში. ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ სამახსოვრო დროშა მოაქვს ფურცელსაგლინავი სამჭრის უფროს მვალცავს კომუნისტური შრომის დამკვრელს ვ. ა. ფედოროვს. დღესასწაულისათვის მისმა ბრიგადამ გამოუშვა ასობით ტონა ფურცლოვანი ფოლადი დავალების გადამეტებით. ამ კოლონის მარჯვენა ფლანგზე მოდის ბორის ჩებოტარიოვი — მოსკოველი, რომელსაც ჩვეულებრივი შრომითი ბიოგრაფია აქვს: საფაბრიკო-საკარხნო სასწავლებელი, ჯარი, კვლავ მშობლიური ქარხანა. ახლა იგი ინსტიტუტს ამთავრებს, მალე ინჟინრის დიპლომს მიიღებს.

და ასეა თვითეულ კოლონაში, ყოველ მწკრივს ჰყავს თავისი მედროშე, თავისი მარჯვენაფლანგელი. პირველ მაისს კი ასეთები ათასობით ჰყავს.

მშრომელთა ნაბიჯების ხმას უერთდება მოტორების გუგუნი. მოდის ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის კოლექტივი. დღეს ქარხნის კონვეიერი გზების კონვეიერზე გზავნის მძლავრ სატვირთო მანქანებს ზილ-130, ზილ 131, სწრაფმავალ მიკროავტობუსებს — „იუნოსტს“.

მუშათა ტრადიციებს ერთგულად იცავს ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივი. 5 წლის წინათ მან პირველი მაისის დღესასწაული აღნიშნა პირველი საბჭოთა მრავალსპირსიანი ჩარხის გამოშვებით. ახლა ამ საწარმოს მარკა მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მას იცნობენ მომმე ვიეტნამშიც. დღესასწაულის წინადღეებში ქარხნის კომკავშირელებმა პანოში გაგზავნეს გემის გადამეტებით დამზადებული ჩარხები.

დღეს, მშირ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, მშრომელი ადამიანები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვან ვიეტნამელთა სამართლიანი საქმე.

„გავაძევოთ აგრესორები ვიეტნამიდან!“ — მოითხოვენ დემონსტრანტები. „ვიეტნამი გაიმარჯვებს!“ ეს სიტყვები გაისმის დღეს მოსკოვსა და ვარშავაში, პარიზსა და ტოკიოში, რომსა და ბუდაპეშტში. წლევანდელ პირველ მაისს ყველა ქვეყნის მუშათა კლასი აღნიშნავს იმპერიალიზმისადმი მტკიცე წინააღმდეგობის ლოზუნგით.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — ეს მოწოდება, რომელიც გაისმა მუშათა კლასის [illegible] რევოლუციური ბრძოლის გზიერაუზე, დღესაც გაერთიანებისათვის მოუხმობს დედამიწის პატიოსან ადამიანებს.

„შენ მარტო არა ხარ, ელადის ხალხო!“ — მიმართავენ ანტიფაშისტ პატრიოტებს დედაქალაქის პროლეტარული რაიონის მუშები. „თავისუფლება საბერძნეთის ხალხს!“ — მოითხოვს პლაკატი, რომელზეც გამოსახულია საყურობილის გისოსით გადახაზული საბერძნეთის რუკა.

„გავაძევოთ ისრაელი დამპყრობნი არაბთა მიწაწყლიდან, მხარს ვუჭერთ არაბ ხალხთა ბრძოლას!“ — ასეთი ტრანსპარანტები მოაქვთ მოსკოველ ფეიქრებსა და გემმშენებლებს, ქიმიკოსებსა და მეფეხსაცმელეებს...

„სსრ კავშირი მშვიდობის ბურჯია“, „დაე მტკიცდებოდეს სოციალიზმის ქვეყნების მეგობრობა!“ — აცხადებს წითელი მოედანი. — „დაე მტკიცდებოდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და [illegible] ინტერნაციონალიზმის საუქვეყნოდ!“ „ძალა ერთობაშია!“

...წითელ მოედანზე ისმის სიმღერა. მზნე. კომკავშირული. „მზისა და ქარის შესახვედრად...“ მოდის მოსკოვის ახალგაზრდა გვარდია. კოლონის თავზე დროშასავით, ფიცივით აღუმართავთ ტრანსპარანტი — „მარად პარტიასთან!“. მის გვერდით კი კომკავშირის საიუბილეო თარიღი — „50“.

პირველი მაისი განაგრძობს მარშს. ასევე ძლევამოსილად შემოვა იგი ჩვენს ყოველდღიურობაში, ჩვენს ხვალინდელ დღეში. მთელ ქვეყანაზე, როგორც პოეტმა თქვა, ფართოვდება ილიჩის აზრების, სიტყვებისა და საქმეების სვლა.

ი. ვეჭსლერი, ლ. ერმაკოვა, ა. მედვედევი, დ. სმირნოვი, ვ. სტეპანოვი, ს. ფროლკინი,
საკდესის კორესპონდენტები.
მოსკოვი, 1 მაისი.

ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ დღესასწაულს განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებს: ესაა პირველი მაისი, რომელსაც საბჭოთა ეგებება თავისი სახელოვანი ორმოცდაათწლეულის შემდეგ. მისი სიმწიფე, ძალა და ძლიერება ყველაფერში იგრძნობა.

„დაე მარად ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურღვევი თანამშრომლობა!“ რა ხმირად ჩანდა ეს ლოზუნგი საპირველმაისო კოლონების თავზე! საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ჩვენს ერთიან მრავალეროვან ოჯახს ყოველგვარი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია.

ალისფერ დროშებად მოზღვავდა პირველი მაისი **უკრაინის** დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. **კიევის** ყველა კუთხიდან მოდიოდნენ კრეშჩატიკისაკენ დემონსტრანტთა კოლონები.

საღღესასწაულო კრეშჩატიკ მიესალმება კიევის ინდუსტრიის მოწინავეებს — სამაისო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს. მათ შორისაა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელგანთქმული ქარხანა „არსენალის“ კოლექტივი. „არსენალის“ მუშების, ისევე როგორც კიევის მუშათა კლასის ბევრი სხვა რაზმის, დევიზია „ხუთწლედი — ვადამდე!“.

მინსკის საღღესასწაულო სამოსელში ჩაწერილია სიტყვები „ბელორუსიის სს რესპუბლიკის 50 წელი“. საპირველმაისო დღესასწაულობა დაემთხვა ბელორუსიის სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავისათვის მზადების. დიდი წარმატებებით ეგებება რესპუბლიკა იუბილეს. ახლა მისი მრეწველობა უშვებს 73-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს.

ინტერნაციონალური იყო. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით საღღესასწაულო დემონსტრაცია **უზბეკეთის** დედაქალაქში. ტაშკენტელებთან ერთად ლენინის სახელობის მოედანზე ჩაიარეს მომძე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, რომლებიც ეხმარებოდნენ მათ ქალაქის აღდგენაში. ორი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ორ წელიწადში — ასეთია მშენებელთა შრომის შედეგი.

თითქოს ათასობით ალისფერი ტიტა და ყაყაჩო ჩამოსულიყო მთების ფერდობებიდან და აუყვავებია **ალმა-ატის** პროსპექტები, ქუჩები, პარკები, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი.

მოედანზე გამორნდა ნამგალისა და უროს მაკეტი — მუშებისა და გლეხების, ქალაქისა და სოფლის ძმური კავშირის სიმბოლო. უდიდეს დაიხმარებას უწევს სოფელს რესპუბლიკის მრეწველობა.

48 ნაირფერი გაზაფხულის თაიგული გადასცეს საპირველმაისო დემონსტრაციის დროს **ბაქოელმა** ნორჩმა ლენინელებმა აზერბაიჯანის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ვეტერანებს, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან ერთად აზერბაიჯანელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა 1 მაისს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 48 წლისთავი.

დაახლოებით სამ საათს გასტანა საღღესასწაულო დემონსტრაციამ **ვილნიუსში.** მანქანათმშენებლები **და** ხელსაწყოთმშენებლები, მეფეხსაცმელეები და ფეიქრები, ქიმიკოსები და კვების მრეწველობის მუშაკები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი უპატიკეცდნენ თავიანთი სახელოვანი შრომითი საქმეების შესახებ.

თითქმის 150 ათასი კაცი მონაწილეობდა **მოლდავეთის** დედაქალაქის შრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციაში. კოლონების თავზე აღმართულია ტრანსპარანტები მოწოდებით — ბოლო მოეღოს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში! მიეცეს ბერძენ ხალხს დემოკრატიული ხელისუფლებანი!

1 მაისს განთიადისას გაზაფხულის წვიმამ გადაუარა **ლატვიის** დედაქალაქის ბულვარებსა და პარკებს. და როცა დაუგავის სანაპიროზე საპირველმაისო დემონსტრაცია დაიწყო, ძველი ქალაქის პალიტრაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოირჩეოდა ორი ფერი: წითელი — რევოლუციის ფერი და მწვანე — გაზაფხულის ფერი.

შრომითს გამარჯვებათა პატაკებით გამოვიდა საპირველმაისო დღესასწაულზე **ყირგიზეთის** დედაქალაქი. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა. ზეგმის გადაჭარბებით წარმოებულია ბევრი მანქანა, ჩარხი, ხელსაწყო, ქსოვილები და სხვა პროდუქცია.

დუშანბეში საპირველმაისო დემონსტრაცია ტრადიციისამებრ დაიწყეს ფიზკულტურელებმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა და მოწაფეებმა. შემდეგ ხალხმრავალ კოლონებად ჩაიარეს ლენინის სახელობის მოედანზე ტაჯიკეთის დედაქალაქის მშრომელებმა.

სომხეთის დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ჩანს ციფრი — 2750. სწორედ ამდენჯერ შეხვედრია ქალაქი გაზაფხულს. საღღესასწაულო კოლონებმა ჩაიარეს ლენინის მოედანზე. დემონსტრაცია დამთავრდა სპორტსმენი ახალგაზრდობის გამოსვლით.

„დიდება სკკპ!“ „დიდება დიდ ლენინს!“ — ერთხმად გაიძახოდნენ **აშხაბადის** მთავარ მაგისტრალზე — თავისუფლების პროსპექტზე შეკრებილი დემონსტრანტები. კოლონებს მოაქვთ ლენინის პორტრეტი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული თურქმენი ხალხის ბედნიერება, წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

ტალინში საპირველმაისო კოლონების გაფორმებაში ფართოდაა ასახული სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ძმური მეგობრობის თემა.

ლენინგრადი. ორგზის წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებზე. მოფრიალე ალმები თითქოს პირველ მაისს აძღვენენ საღუტს. საზღვაო პარადმა ესტაფეტა გადასცა სასახლის მოედანს. მოზეიმე ლენინგრადელთა პირველი კოლონის თავზე ფრიალებს გმირი ქალაქის ოთხ ორდენითა და ოქროს ვარსკვლავით დამშვენებული დროშა. უფროსების გვერდით მოდის ლენინგრადის ახალგაზრდობა.

ივანოვოში—ჩვენი ქვეყნის ფეიქართა დედაქალაქში საზეიმო დემონსტრაცია ტრადიციისამებრ გახსნეს ძველმა კომუნისტებმა, ივანოვო-ვოზნესენსკის მქსოველების რევოლუციური ბრძოლების ვეტერანებმა. დღეს მათ ორი დღესასწაული აქვთ: ზუსტად 75 წლის წინათ ტყეში მდინარე ტალკის პირას გაიმართა პირველი მაისობა.

ულიანოვსკში დემონსტრაციაზე პირველად გამოვიდნენ ისინი, ვინც აშენებს ლენინის შემორიალურ ცენტრს — დიდებულ ხაგებობას, რომელიც ქალაქის ცენტრში აღიმართება როგორც ბელადის ძეგლი. ტრანსპარანტებს აწერია მშენებელთა ვალდებულებანი: „ჩავაბარებთ შემორიალურ ცენტრს 1970 წლის იანვარში“.

ვლადივოსტოკი — ქალაქი — მშრომელი, ქალაქი — მეზღვაური, ქალაქი — მესაზღვრე ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი შეხვდა გაზაფხულისა და შრომის, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს.

ამურის ყურეში მწყობრად დგანან რეიდზე წითელდროშოვანი წყნარი ოკეანის ფლოტის საბრძოლო ხომალდები. აქ გაიმართა საპირველმაისო საზღვაო პარადი.

ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ ქალაქ **ორჯონიკიძეში** ათასობით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები. თავისუფლების მოედანზე საღღესასწაულო კოლონებში ჩაიარეს ოსებმა და რუსებმა, ქართველებმა და სომხებმა, დაღესტნელებმა და უკრაინელებმა, აადარდოელებმა და ინგუშებმა.

მუშათა დასახლება **ამაგური** კუზბასის სამხრეთით... სწორედ იგი ხსნის ჩვენი ქვეყნის დასახლებული პუნქტების უზარმაზარ ალფაბეტურ სიას. სიმღერებით ჩაიარეს ამაგურის საზეიმოდ მორთულ ქუჩებში დემონსტრანტთა კოლონებმა, შემდეგ კი სტადიონზე გაიმართა მიტინგი.

საგულისხმოა, რომ კემეროვოს ოლქში არის დაბაც, რომლითაც მთავრდება ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული სია. ესაა რაიონული ცენტრი **ეიეა.** საღღესასწაულო დემონსტრაციაზე რაიონული ცენტრის მეხოვრებლებმა პირველად ჩაიარეს ახალ ლამაზად მორთულ მოედანზე.

სადაც უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი პირველ მაისს — ინდუსტრიულ ლიპეცკში თუ სარატოვის მხარის ველებში, შორეულ ტომსკში — ყველა ქალაქსა და სოფელში — ყველგან ადიდებს იგი სამშობლოს, მშვიდობას და თავისუფალ შრომას. საბჭოთა ადამიანებმა ცხადყვეს, რომ მონოლითურად არიან შეკავშირებულნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მზად არიან ებრძოლონ ახალი გამარჯვებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში. (საკდესი).



1968 ᲬᲚᲘᲡ 1 მაისის დღესასწაული მოსკოვში. მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადი წითელ მოედანზე. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სტრატეგიული რაკეტები.
(საკდესის ფოტოქრონიკა).
ფოტო ნ. სიტნიკოვისა.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებით ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის შესახებ.

ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი სამრეწველო სამინისტრო და უწყება ვერ უზრუნველყოფს ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის საჭირო დეტალებისა და კვანძების წარმოების დადგენილი გეგმების შესრულებას. საავტომობილო მრეწველობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ დადგენილი ნომენკლატურით სათადარიგო ნაწილების გამოშვების დავალებებს.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროები ჩამორჩებიან სხმული და ჭედური სათადარიგო ნაწილების სპეციალიზებულ სიმძლავრეთა მშენებლობაში, ვერ ახერხებენ ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების მოლიანად ათვისებას. ნელა ვითარდება ავტოსატრაქტორო ტექნიკის შემკეთებელი საწარმოები, არის ნაკლოვანებანი სარემონტო სამუშაოთა და გაცვეთილი საბაზო დეტალების ცენტრალიზებულ აღდგენაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ სათადარიგო ნაწილების, სხმული და ჭედური ნამზადების მწარმოებელ სპეციალიზებულ სიმძლავრეთა განვითარების 1968-1970 წლების დავალებათა შესრულება; დაავალა ზემოაღნიშნულ სამინისტროებსა და შესაბამის სამშენებლო სამინისტროებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა 1968 წელს უთუოდ შესრულდეს იმ სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და მათი წარმოებისათვის საჭირო ნამზადების გამოშვებას.

სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაეკალათ გააუმჯობესონ ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების მწარმოებელ საწარმოთა მუშაობა, 1968 წელს უზრუნველყონ სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმის შესრულება მთელი მოცულობითა და ნომენკლატურით, გაუმჯობესონ მათი დამზადების ხარისხი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს დაეკალათ განიხილონ საკითხი ჩუსოვოის მეტალურგიულ ქარხანაში ავტომობილის რესორების წარმოების სპეციალიზებული საამქროს მშენებლობის დაჩქარების შესახებ. საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ დაჩქარონ ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით სახალხო მეურნეობის მომარაგების წესის გაუმჯობესების წინადადებათა მომზადება, საცალო სავაჭრო ქსელს მოსახლეობისათვის მისაყიდად გამოუყონ მსუბუქი ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ დაეკალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ავტომობილების, ტრაქტორების კაპიტალური რემონტისა და საბაზო დეტალების ცენტრალიზებული აღდგენისათვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ამუშავების 1968 წლის გეგმების შესრულება, ტექნიკის რემონტის ხარისხის გაუმჯობესება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს გაზარდონ მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი დადგენილი ნომენკლატურით სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმების შესრულებისა და მათი დამზადების ხარისხისათვის, აგრეთვე მანქანების შესაკეთებელი ბაზების განვითარებისა და სარემონტო სამუშაოთა ტექნიკური დონის გაუმჯობესების დავალებათა შესრულებისათვის.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“:

1. ოთარ ივანეს-ძე ზაქაიძე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.
2. იუსტინე შერაბის-ძე ცინცაძე — საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ᲙᲝᲠᲬᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲘᲗᲐᲕᲐᲫᲔ

თბილისი,
1968 წლის 24 აპრილი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲮᲐᲜᲓᲐᲠᲖᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲮᲐᲜᲓᲐᲠᲘᲡ ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. ნოდარ ოსეფის-ძე **ახალაძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური.
2. ზაურ ნიკოლოზის-ძე **კობრეიძე** — აკარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.
3. ივანე ომერის-ძე **ჭინკაძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ᲙᲝᲠᲬᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲘᲗᲐᲕᲐᲫᲔ

თბილისი,
1968 წლის 24 აპრილი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲮᲐᲜᲓᲐᲠᲖᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ბ. ᲙᲝᲠᲬᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲘᲗᲐᲕᲐᲫᲔ

თბილისი,
1968 წლის 30 აპრილი.

ᲛᲐᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ — 1 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲛ.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ფერადოვანმა საპირველმაისო დემონსტრაციამ ჩაიარა ბულგარეთის დედაქალაქის ქუჩებში. მშრომელებს მოაქონდათ გაზაფხულის ყვავილები, დროშები და ალმები, უამრავი ტრანსპარანტი და მაკეტები, რომლებიც ასახავენ ბულგარელი ხალხის მიღწევებს სოციალიზმის მშენებლობაში, ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ მშვიდობისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის. 9 სექტემბრის მოედანზე განუწყვეტლივ ისმოდა შეძახილები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად, სოციალისტური ქვეყნების ერთობისა და შეკავშირების პატივსაცემად, გმირ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ნიშნად.

საღღესასწაულო სვლები და სახალხო სეირნობანი გაიმართა ბულგარეთის ყველა ქალაქსა და სოფელში.

ულან-ბატორი. ულუზეგეთ „მშვიდობა, სოლიდარობა და სოციალიზმი“ აღნიშნეს 1 მაისი სახალხო მონღოლეთის მშრომელებმა.

საღღესასწაულო ზეიმის კულმინაცია გახდა ულან-ბატორის მშრომელთა დემონსტრაცია სუხე-ბატორის მოედანზე. დემონსტრაციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ც. დუგერსურენმა.

ბუდაპეშტი. 1 მაისს ათასობით ორკესტრმა ჩაიარა უნგრეთის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში და ხალხს აუწყა დღესასწაულის მოსვლა.

მშრომელთა გრანდიოზული, შთამბეჭდავი დემონსტრაცია გაიმართა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. დემონსტრაციაში მონაწილეობდა ქალაქის 250 ათასი მცხოვრები.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. 400 ათასზე მეტი მშრომელი გამოვიდა 1 მაისს პოლონეთის დედაქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში და მოედნებზე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა პარადების მოედანზე, ხაზგასმით აღნიშნა: ვერავითარ რეაქციულ და ანტისოციალისტურ ძალებსა და სოციალიზმზე გულგატეხილ რევიზიონისტებს უმცირესი პოლიტიკური შანსიც კი არა აქვთ პოლონეთში. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, მთელმა ხალხმა გადაჭრით დაგმეს სახალხო პოლონეთისათვის მტრული გამოხდომები, გამოიჩინეს პასუხისმგებლობისა და პოლიტიკური სიმწიფის გრძნობა, პატრიოტიზმი და სოციალიზმის საქმისადმი ერთგულება.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და კავშირი, თქვა ვ. გომულკამ, პოლონელთის დამოუკიდებლობის, უშიშროებისა და განვითარების საფუძველია. არავის არ მივცემთ ნებას დაარღვიოს ჩვენი კარგი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და მეგობრობა საბჭოთა ხალხთან.

ტრიბუნის წინ უსასრულო ნაკადად ჩაიარეს მშრომელთა კოლონებმა.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. 1 მაისს რუმინეთის დედაქალაქის ავიატორთა მოედანზე გაიმართა მშრომელთა მიტინგი და დემონსტრაცია.

დემონსტრაციის შემდეგ გაიმართა სპორტსმენთა პარადი. საპირველმაისო ზეიმი გაიმართა აგრეთვე რუმინეთის სხვა ქალაქებში.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. აქ ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართა შრომის საერთაშორისო დღესასწაულისადმი მიძღვნილი მრავალათასიანი დემონსტრაცია.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა ა. დუბჩეკი.

ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო მდგომარეობა სავსებით უზრუნველყოფილია სოციალისტური ქვეყნების სისტემაში, თქვა მან. ჩვენ მივდივართ ჩვენი დიდი მოკავშირისა და მეგობრის მხარდამხარ, საბჭოთა კავშირის მხარდამხარ.

შემდეგ დაიწყო მშრომელთა სადღესასწაულო სვლა, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ბრატისლავაში, ბრნოსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ᲯᲐᲙᲐᲠᲗᲐ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ხოანგ კუოკ ვიეტმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკა, რომლის მიზანია გააჭიანურონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა წინასწარი კონტაქტების დამყარება და გააგრძონ აგრესიული ომი ვიეტნამში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. დიდი აღმავლობით აღნიშნეს პარეული მაისის დღესასწაული ფრანგმა მშრომელებმა. ასეულ ათასობით ფრანგი გამოვიდა ქუჩებში, რათა კომუნისტური პარტიისა და პროფკავშირულ გაერთიანებათა მოწოდებით ეჩვენებ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ 1968 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲒᲚᲔᲕᲐᲜᲯᲔᲚᲘ პირველი მაისი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი და საზეიმოა: ეს არის ოქტომბრის მეორე ორმოცდაათწლეულის მაისის პირველი დღესასწაული. ამ დღესასწაულს აღვნიშნავთ დიდი გამარჯვებებით ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარების ყველა უბანზე, საბჭოთა სახელმწიფოს ძალიერების განმტკიცებით. გაზაფხულის ვარსკვლავებივით ციმციმებენ ჩვენს ქვეყანაში ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ჩიტაღდნები.

შთამბეჭდავი, ლამაზია სადღესასწაულო თბილისის პანორამა. წვიმების შემდეგ კიდევ უფრო ამწვანებულან ხეები, კიდევ უფრო ლამაზად მობატულა ყვავილებით კლუმბები და გაზონები, კიდევ უფრო ლამაზი ჩანს ქალაქის საპირველმაისო მორთულობა.

სადაც კი გაიხედავ, ყველგან წითელი ფერია. ნათელ მზის სხივებში ამაყად ფრიალებს მთავრობის სახლზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმი. შენობის ცენტრალურ ნაწილზე ვ. ი. ლენინის პორტრეტია. იქვე მგზნებარე მოწოდება: „გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!“

ზეიმის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ტრიბუნებზე იკრიბებიან ქარხნებისა და ფაბრიკების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწენი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, გენერალები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მთავრობის ტრიბუნაზე არიან ვ. პ. ᲛᲔᲤᲐᲠᲨᲘᲫᲔ, პ. Ა. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲜᲘᲜᲘ, ᲔᲓ. Გ. ᲚᲔᲒᲣᲠᲣᲐ, ᲠᲘ. Ო. ᲨᲐᲠᲘᲫᲔ, Ლ. ᲘᲐ. ᲛᲐᲛᲐᲫᲐᲕᲘ, ᲒᲘ. Ლ. ᲛᲘᲜᲯᲘᲜᲘᲫᲔ, ᲨᲐᲗᲘᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲝᲕᲐ, ᲒᲘ. ᲓᲘ. ᲯᲐᲒᲐᲕᲘᲜᲘᲫᲔ, ᲒᲘ. ᲓᲘ. ᲯᲐᲒᲐᲕᲘᲜᲘᲫᲔ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ, ᲒᲘ. ᲒᲘ. ᲛᲘᲜᲯᲘᲜᲘᲫᲔ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲘᲜᲯᲘᲜᲘᲫᲔ, ᲒᲘ. ᲓᲘ. ᲯᲐᲒᲐᲕᲘᲜᲘᲫᲔ, ᲒᲘ. ᲓᲘ. ᲯᲐᲒᲐᲕᲘᲜᲘᲫᲔ, ᲨᲐᲗᲘᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲝᲕᲐ

> დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან. მაგრამ კი ისე, როგ ჩემი კვალი ნახონ მათ. ვინცა ჩემს უკან ვლიან. თქვენ. აღასრულა მან თვისი ვალი!
>
> **ილია.**

ილია გადასცქერის ყვარელს

2 მაისს ყვარელში საზეიმოდ გაიხსნა ილია ჭავჭავაძის ძეგლი

მაისი საერთოდ უხვია დღესასწაულებით, მაგრამ 2 მაისმა ყვარელი მშრომელებისათვის მაინც სიუხვის განსაკუთრებული კალთა დაიბერტყა. პატარა ქალაქის ქუჩებში დილიდანვე მოზღვავდნენ სტუმრები. მოდიან თელავიდან, გურჯაანიდან, ახმეტიდან, სიღნაღიდან სალხენად დაძრული მეზობლები, თბილისელები, მოსკოველი მეგობრები. მოდიან ქუთაისელი, რუსთაველი ვაჭკაცები, და მაინც უცხოდ არავინ თვლის თავს. არავინ კითხულობს დიდი ილიას ნატერფალ მიწაზე ილიასავე ენით — „ვერ მიმასწავლით კუდიგორის გზას?“... კუდიგორისა და წინკლდეების მთებს შუა, ამწვანებულ ილიას მთაზე აღმართული გრანდიოზული ფიგურა თავად გამხდარა შუქურად სტუმრებისათვის.

დღის პირველი საათია. ტევა არ არის ილიას მთის ფერდობებზე. ქალაქში ალბათ მოხუციც აღარ დარჩენილა. საბაგირო გზის ზედა სადგურთან სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ ვ. მძავანაძე, პ. როდიონოვი, დ. სტურუა, რ. ფრუიძე, ბ. ჩოგოშვაძე, ბ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, ბ. ჯაფახიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ი. ლოლაშვილი. ტრიბუნაზე არიან აგრეთვე ქართველი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები.

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ზაუტაშვილმა. მისი გამოსვლა აღსავსე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობის მიმართ მადლიერების გრძნობით, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ამ დიდ საერთო-სახალხო დღესასწაულს.

ილია ჭავჭავაძის ძეგლის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თენგიზ ლვინიაშვილი. მონუმენტი ჩამოსხმულია ქალაქ რუსთავში. ჩამოსხმას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ხადური, არქიტექტორია ი. ნახუცრიშვილი.

გრანიტის ხუთმეტრიანი კვარცხლბეკის გარშემო შემოკრულ წითელ ლენტს ჭრის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჭავანაძე. 10,7 მეტრი სიმაღლის თუჯის ფიგურას ნელნელა სცილდება თეთრი საბურველი. მიტინგის ათეულ ათასობით მონაწილეთა ტაში აწყდება დურუჯის ხეობას. ელვარებს დიდი ქართველის ბრძნული ფიგურა.

— დღეს მთელი საქართველოს თვალი და ყური მიპყრობილია ყვარლისადმი, — ამბობს საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. აბაშიძე. აქ იხსნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ძეგლი. ეს ჩვენი საერთო-სახალხო დღესასწაულია.

ნუ მოუშალოს ქართველ ხალხს ასეთი ზეიმი, ასეთი სიხარული!

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი პოეტი ი. ბერეშვილი, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლე მარინე იაშვილი.

შემდეგ ტრიბუნა სცენად იქცა. თბილისის, თელავის, ყვარლის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სახელმწიფო და სახალხო თეატრების მსახიობები აცოცხლებენ დიდი ილიას მიერ შექმნილ უკვდავ სახეებს. გვიანობამდე გრძელდებოდა ზეიმი ყვარელში.

ჯ. რჩეულიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

სურათებზე: ზემოთ—ილია ჭავჭავაძის ძეგლი ყვარელში. ქვემოთ — მიტინგის მონაწილენი.

ფოტო ბ. თელიაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

როგორც ვიუწყებოდით, მტკვრის წყალდიდობამ დროებით დაარღვია ბორჯომის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის რიტმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბორჯომელმა მშრომელებმა მაინც შეძლეს რენტაბელურად ეშრომათ და პირნათლად შეხვედროდნენ მაისის დღესასწაულს.

როგორც გუშინ საქართველოს კპ ბორჯომის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. კუხიანიძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. კიკნაძემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, **ბორჯომის სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის მეოთხე თვის დავალება და საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებები. გამოშვებულია მილიონობით ცალი ბოთლი „ბორჯომი“, დიდი რაოდენობით ანდეზიტის ნაწარმი და სხვ.**

წყალდიდობამ ვერ შეაფერხა სოფლად საგაზაფხულო სამუშაოები. **დათესილია ასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.**

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲡᲝᲩᲐᲫᲔ

მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან **პეტრე გიორგის-ძე სოხაძე.**

ჩვენგან უდროოდ წავიდა გამოცდილი სპეციალისტი, უნარიანი ხელმძღვანელი და მტკიცე კომუნისტი, დაუღალავი და ენერგიული ადამიანი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას მოანდომა.

პ. სოხაძე დაიბადა 1909 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ მიქარწმინდაში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მებაღე-მევენახე აგრონომის სპეციალობით და აქედან დაწყებული თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

ახალგაზრდა სპეციალისტმა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მიწსახკომში აგრონომ-ინსტრუქტორად, ხოლო შემდეგ 1932 წლამდე „საქართველოს ჩაის“ ტრესტის უბნის აგრონომია მახარაძის რაიონში. 1932-1936 წლებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში იგი იყო აგრონომ-ინსტრუქტორი და აგროსაწარმოო განყოფილების გამგე. 1937 წელს ნიშნავენ სამტრესტის ბოლნისის ღვინის ქარხნის დირექტორად, საიდანაც სამი წლის შემდეგ გადაყავთ სამტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსად. 1943-1946 წლებში იგი ჯერ საქართველოს პურტრესტის, შემდეგ კი ლიმმანტრესტის მმართველია, ხოლო 1946-1952 წლებში სათავეში უდგას სამტრესტს. შემდგომ წლებში პეტრე სოხაძე ხელმძღვანელობს დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობას. 1967 წელს იგი ინიშნება მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოღვაწეობდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის რომელი უბანიც უნდა ყოფილიყო, იგი ყველგან დიდ ორგანიზატორულ ნიჭს იჩენდა, მთელ თავის ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა საერთო-სახალხო საქმეს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს პ. სოხაძის საქმიანობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, „სატატო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით. 1961 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის წოდება.

პეტრე სოხაძე იყო პრინციპული და პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული, ყველასათვის საყვარელი ამხანაგი. ამ შესანიშნავი, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲒᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ

საქართველოს ფლოტილიის ტრაულერები მსოფლიოს ოკეანეებს სეგავენ. რეწვა მიმდინარეობს ატლანტის ოკეანეში. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს — 1 მაისს ქართველი მეზღვაურები ოკეანეში შეხვდნენ, მაგრამ სულით და გულით თავიანთ სამშობლოში, თავიანთ ოჯახებში არიან. გაზეთ „კომუნისტის“ სახელზე შორეული ოკეანიდან რამდენიმე დეპეშა მოვიდა.

ტრაულერ „თბილისის“ ეკიპაჟი მხურვალედ ულოცავს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, საქართველოს ყველა მშრომელთ 1 მაისის დღესასწაულს და უსურვებს ახალ წარმატებებს შრომაში.

დეპეშას ეკიპაჟის სახელით ხელს აწერენ ტრაულერ „თბილისის“ კაპიტან-დირექტორი გორგიანოვი და კაპიტნის პირველი თანაშემწე ბოჭორიშვილი.

„იმერეთის“ ეკიპაჟი საყვარელი სამშობლოს ყველა მშრომელს ულოცავს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს და სთხოვს გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტივს გადასცეს რესპუბლიკის ყველა მშრომელთ, მათს ოჯახებს ეკიპაჟის მილოცვა და შრომასა და პირად ცხოვრებაში წარმატებათა სურვილი.

ეკიპაჟის სახელით „იმერეთის“ კაპიტან-დირექტორი შიმანი და კაპიტნის პირველი თანაშემწე უუფარაძე.

ტრაულერ „მცხეთის“ ეკიპაჟი საპირველმაისო დღესასწაულს ულოცავს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, გაზეთის მკითხველებს, საქართველოს ყველა მშრომელთ და უსურვებს მათ დიდ მიღწევებს ჩვენი სახელოვანი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეკიპაჟის სახელით „მცხეთის“ კაპიტან-დირექტორი გურგენიძე და კაპიტნის პირველი თანაშემწე **ჩაჩანიძე.**

> ... აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
> თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
> გრიგალთა, მესთა, ქუსილთ შორის ქართველად გაზრდილი.
>
> *ლექსიდან „ყვარლის მთებს“.*

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

სპორტის მოყვარულები დიდი ფეხბურთის მოლოდინში არიან. ეს გახლავთ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრა სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც დღეს გაიმართება ბუდაპეშტში. ბილეთები რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა, ადგილობრივ გაზეთებში ცოტას როდი წერენ ამ შეხვედრაზე. პროგნოზები ბევრია, თვით უნგრელი ფეხბურთელები კი მწვრთნელთან **კაროლი ფოროშთან** ერთად ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

ჩვენი ფეხბურთელები უკვე რამდენიმე დღეა ბუდაპეშტში იმყოფებიან, მათ უკვე მოაწყვეს წვრთნა, ყველა კარგად გრძნობს თავს. აი ვინ ჩაიყვანა ბუდაპეშტში ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა **მ. იაკუშინმა:** ჯუნინჩნიკოვი, კავაზაშვილი, აფონინი, ანიჩკინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, ვორონინი, მედვედი, მალოფეევი, ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი, ბიშოვეცი, ევრიუფინინი.

უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებთა შეხვედრას სჯის ჰოლანდიელ არბიტრთა ბრიგადა.

უნგრეთის გუნდი თავის შემადგენლობით ახალგაზრდულიც არის და გამოცდილიც. აბა ვის არ გაახსენდება მათი მატჩი ბრაზილიელებთან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო ინგლისში. უნგრელებს ჩინებული ფორვარდები მყავთ და, ბუნებრივია, ჩვენს დაცვას, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი ურთიერთგაგებით, მონოლითურობით, შეუპოვრობით, მძიმე ბრძოლა ექნება ისეთ აღიარებულ ფეხბურთელებთან, როგორებიც არიან ალბერტი, ფარკაში, ბენე და სხვები.

თუ რით დამთავრდება ეს მატჩი, ამის თქმა წინასწარ ძნელია.

◆

ᲢᲐᲜᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲛᲔᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘ

წარმატებით დამთავრეს ტურნე საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა საზღვარგარეთ. ბუდაპეშტში პაექრობა ჰქონდათ უნგრეთისა და ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალებს. აქ წარმატება ჩვენს სპორტსმენებს ხვდათ — 384,65:376,65. პირად ასპარეზობაში უძლიერესი იყო ლ. პეტრიკი (სსრ კავშირი). ჩვენმა ვაჟთა გუნდმა შვეიცარიაში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეები — 576,75:570,05. პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა მსოფლიოს ჩემპიონმა მ. ზიორონინმა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲗᲐᲜ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — **„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“** (კიროვაბადი) 2:0 (2:0). თბილისი. 2 მაისი. **„დინამოს“** სტადიონი. **მსაჯი — შ. ტიურიკოვი** (ხარკოვი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — **კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა. კუტუბაძე (შერგელაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია (ქიქაჯა).**

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (კიროვაბადი) — **გუსეინოვი (სულეიმანოვი), ნამაზოვი, ლიუბარსკი, ფალკოვსკი, ბატრაევი, კადოევი (სალახოვი), კასუმოვი, მურიტოვი, აბდულაევი, სტუპინი, მაგერამოვი.**

თᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ პირველად გაეცნენ „ა“ კლასის დებიუტანტს — კიროვაბადის „დინამოს“, რომელმაც სტარტზე ფრედ დამთავრა მატჩები ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — კიევის „დინამოსთან“ და ოდესის „ჩერნომორეცთან“ და დაამარცხა ერევნის „არარატი“. უნდა გ�ვიტყვიოთ, რომ მასპინძლებს ახალბედა ძლიერ მეტოქესთან ექნებოდათ საქმე. მაგრამ მატჩის მსვლელობამ სულ სხვა გვიჩვენა.

თბილისელები თავიდან ბოლომდე ფლობდნენ ინიციატივას და აშკარად სჯობნიდნენ მეტოქეს. მართალია, გამარჯვება 2:0 საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა ანგარიში გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. ბევრს სცოდავდნენ თბილისელი ფორვარდები და ნახევარმცველები.

პირველი გოლი თბილისელებმა გაიტანეს 28-ე წუთზე. დაახლოებით 20-21 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ბურთი **ასათიანმა** გაახვია ბადეში. შემდეგ კი 41-ე წუთზე მისივე მიწოდებით ანგარიში **გავაშელმა** გაზარდა. პირველი ტაიმის ეს შედეგი უცვლელი დარჩა. გაიმარჯვეს თბილისელებმა.

დუბლიორთა მატჩშიც წარმატება მასპინძლებს ხვდათ ანგარიშით 3:0.

მᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲒᲝᲚᲔᲑᲘ, ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ

2 ᲓᲐ 3 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ჩემპიონი — კიევის „დინამო“ ტამკენტს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „პახტაკორთან“. მეორე ტაიმში **პარკუიანისა** და **ხმელნიცკის** მიერ გატანილ ორ ბურთს მასპინძლებმა ვერაფრით უპასუხეს. გაიმარჯვეს დინამოელებმა 2:0 და ლიდერები გახდნენ.

„ᲜᲔᲤᲢᲩᲘᲛ“ კიდევ ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. ამჯერად ბაქოელებმა დაამარცხეს ერევნის „არარატი“ ანგარიშით 2:0. გოლების ავტორები იყვნენ **რახმანოვი** და **ტუაევი.**

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა ალმა-ატის „კაირატმა“. საკუთარ მოედანზე ალმაატელებმა მოუგეს ოდესის „ჩერნომორეცს“ 2:0. ორივე ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში **ეგოროვისა** და **აბგოლცის** (11-მეტრიანი სპორტიმო დარტყმა) მიერ.

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ წარუმატებლობას განიცდის დონის როსტოვის არმიის, სასპორტო კლუბის გუნდი. ამჯერად როსტოველებმა წააგეს შეხვედრა მოსკოვში „სპარტაკთან“ 1:3.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ზენიტს“ საკუთარ მოედანზე მატჩი ჰქონდა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

„ᲨᲐᲮᲢᲘᲠᲘᲡᲐ“ და „კრილია სოვეტოვის“ გუნდების მატჩში დონეცკელი **ბაზილევიჩის** მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში. გაიმარჯვა „შახტიორმა“.

ᲛᲐᲢᲩᲘ ლუგანსკში „ზარიასა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის დამთავრდა ლუგანსკელთა გამარჯვებით 1:0.

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები, შეხვედრის შედეგია 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“— „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“

ᲨᲣᲨᲘᲜ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ტაგანროგის „ტორპედოს“ გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა 1:0.

ᲙᲚᲐᲕᲔ ᲧᲐᲘᲪᲔ

ᲞᲐᲓᲠᲐᲪᲘᲨᲘ მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების **მ. ტალისა** და **ს. გლიგორიჩის** ბელგრადის მეოთხედფინალურ მატჩზე მეტოქეებმა გაიარეს დისტანციის ნახევარი. მეხუთე პარტიაშიც ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა, 25-ე სვლაზე გროსმაისტერები უაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ანგარიში გახდა 3:2 **ს. გლიგორიჩის** სასარგებლოდ.

ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი სასტენდო სროლაში. ჩვენმა სნაიპერებმა შეჯიბრების ყველა სახეობაში გაიმარჯვეს. სტრანშეო სროლაში უძლიერესი იყო მოსკოველი **ვ. სენჩენკო**, მრგვალ სტენდზე სროლაში — **ი. ცურანოვი.**

ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 4 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	7	3	4	0	7-2	10
„ნეფტჩი“	7	4	1	2	8-2	9
„სპარტაკი“	6	3	3	0	9-5	9
„ტორპედო“ (მ.)	7	3	2	2	9-6	8
„კრ. სოვეტოვი“	6	3	2	1	5-3	8
„ლოკომოტივი“	5	3	1	1	6-3	7
„ზენიტი“	6	1	5	0	8-4	7
„დინამო“ (თბ.)	6	3	1	2	5-3	7
ცსკა	6	1	5	0	5-3	7
„შახტიორი“	6	2	3	1	4-4	7
„დინამო“ (მ.)	7	2	3	2	5-5	7
„ზარია“	7	2	3	2	3-6	7
„დინამო“ (ბნ.)	6	2	2	2	4-2	6
„ჩერნომორ.“	6	1	3	2	6-8	5
„პახტაკორი“	7	0	5	2	5-9	5
„არარატი“	6	1	2	3	5-7	4
„დინამო“ (კირ.)	7	1	2	4	2-8	4
„ტორპედო“ (ქ.)	6	1	1	4	5-9	3
„კაირატი“	6	1	1	4	2-6	3
ხკა	6	0	3	3	7-13	3

„ᲑᲔᲡᲢᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲧᲐᲕᲓᲔᲡ“

ლონდონის გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტი ეუბარა ინგლისის ნაკრების მწვანეჯრს ა. რამსეის. რამსეიმ კმაყოფილება გამოთქვა, რომ ინგლისელები აგრძელებენ ბრძოლას ევროპის პირველობაზე. ამასთან მან დასძინა, რომ მსოფლიო ჩემპიონების მდგომარეობა ახლა იოლი როდია. ტრავმის გამო მწყობრიდან გამოვიდა რამდენიმე მოთამაშე.

„შოტლანდიის ნაკრებში ხომ არ ხედავთ ისეთ მოთამაშეს, რომელსაც სიამოვნებით შეიყვანდით თქვენს გუნდში? რამსეიმ ამ კითხვაზე უპასუხა, რომ ასეთ არარეალურ ამბავზე არ მიფიქრია. „ერთ სახელს კი დავასახელებდი. ჯ. ბესტი („მანჩესტერ იუნაიტედი“) რომ მყავდეს, მყისვე შევიყვანდი ნაკრებში“.

ჯ. ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები) წელს ბრწყინვალე ფორმაშია.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ექეცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.15 — „მაგვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — „ცეროდენას ეკრანი“, 11.00 — „გილოცავთ დაბადების დღეს“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „საესტრადო კალეიდოსკოპი“ (2 მაისის კონცერტის გამეორება), 12.30 —ქართული დოკუმენტური ფილმი, 12.50 — ჯ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა „ყოველდღლიერი მოძღვრება“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი“, 2. ახალი ქართული სატელევიზიო ფილმების კვირეული — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიჭი და ჩიტი“ (პრემიერა), 18.30 — — „სამორინე“ (ჟურნალი ჭადრაკის მოყვარულთათვის), 19.00 — გადაცემა „ბეჭედთი სიტყვის დღე“, 19.50 — ევროპის პირველობა ფეხბურთში — უნგრეთი — საბჭოთა კავშირი (გადმოცემა ბუდაპეშტიდან). შესვენების დროს — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.50 — კონცერტი პრესის შუშაკთა თხოვნით.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ 10 საათიდან 00 ს. და 23 წუთამდე.

5 ᲛᲐᲘᲡᲘ

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ექეცია მათემატიკაში, 12.00 — მუსიკალური ფილმი „ქართული მელოდიები“, 12.00 — „ოპერაცია „სირიუს-2“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 17.50 — გადაცემათა პროგრამა, 17.55 — კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენების დროს საერთაშორისო პროგრამა „შვიდი დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.30 — ახალი ქართული სატელევიზიო ფილმების კვირეული — დოკუმენტური ფილმი „დავით კაკაბაძე“ (პრემიერა), 21.50 — მხატვრული ფილმი.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ დასაწყისი 11 ს. 15 ს. და 18-დან 00 და 30 წ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე, **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ტოპაზი, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძია ბაღდასარი, **გრიბოედოვის სახელობის** — შენი ძია მიშა (მე-8 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩანტის კოცნა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კონკია (აბონ. № 27, დღის 3 ს., აბონ. № 25, საღ. 6 ს.).

ᲙᲘᲜᲝ

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, ალეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (I დარბაზი), ბათუმი, სპორტი (ქიროვის სახელობის პარკი) — **დაბრუნებული ღიმილი,** ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — **სირტაკი,** ოქტომბერი (8-30 წ.), **ანა კარენინა** (I, II სერია), ისანი (საზამთრო), ბათუმი, გაზაფხული, კოლმეურნე, თანამგზავრი — **წითელი მანტია,** ისანი (საზაფხულო) I, II სერია — **ქალთევზიანი ბეჭედი,** კოლხიდა (საზაფხულო) — **ოპერაცია „წმიდა იანუარიუსი“,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი, 11 ს.) — **უბრალო გოგონა),** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **ქორწილი მალინოვკაში,** 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი, 12 ს.) — **ბოშა,** 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **დამნაშავე კვალს ტოვებს,** ეკრანი — **პირველი შიკრიკი,** კოლმეურნე — **ფარიდის გმირობა.**

რᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
დ. მᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УᲔ 03224 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.